

ERASMUS+ პროექტი "ჰერიტაგ": უმაღლესი განათლების ინტერდისციპლინარული რეფორმა ტურიზმის მართვისა და გამოყენებითი გეოინფორმატიკის სასწავლო პროგრამებში

ERASMUS+ Project HERITAG: Higher Education interdisciplinary Reform in Tourism management and Applied Geoinformation curricula <http://HERITAG.ge>



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



ევროკავშირის ERASMUS+ პროგრამით დაფინანსებული პროექტი "ჰერიტაგ" (უმაღლესი განათლების ინტერდისციპლინარული რეფორმა ტურიზმის მართვისა და გამოყენებითი გეოინფორმატიკის სასწავლო პროგრამებში, HERITAG, Higher Education interdisciplinary Reform in Tourism management and Applied Geoinformation curricula), შეეხება გეოსივრცული ინფორმაციული ტექნოლოგიების განათლების და ტრენინგის საჭიროებების განვითარებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის დარგების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით და იგი 4 ევროპულ პარტნიორთან თანამშრომლობით ხორციელდება საქართველოსა და სომხეთში. ჩვენი ქვეყნიდან პარტნიორებს წარმოადგენენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას და ბათუმის სახელწიფო უნივერსიტეტები. პროექტის პარტნიორები არიან აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და კომპანია გეოგრაფიკი. პროექტის პარტნიორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეგიდით პროექტის მართვას ახორციელებს სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი, უფროსი ბ-ნი მალხაზ ხურციძე. მთლიანად პროექტის კოორდინატორი პარტნიორია ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (ესპანეთი), იხილეთ ვებგვერდი <http://heritag.webs.upv.es>.

პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელდა 6 საერთაშორისო ტრენინგი ევროპელი და ქართველი პარტნიორების ორგანიზებით. შესრულდა სოციალური კვლევა პროექტის სამი თემატური დარგის საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების დასადგენად. ამჟამად მიმდინარეობს „გეოინფორმაციული ტექნოლოგიების და ტურიზმის ცენტრის“ დაარსების და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის პროცესი. პროექტი ითვალისწინებს ასევე ლაზერული სკანირების თანამედროვე აღჭურვილობის და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვას ტექნიკური უნივერსიტეტისათვის, რაც ემსახურება პროექტის პარტნიორებთან თანამშრომლობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღწერის თანამედროვე გეოინფორმაციული მეთოდების დანერგვას საქართველოში. აღნიშნული აღჭურვილობის შესყიდვა დასრულებულია და 40 ათას ევროზე მეტი ღირებულების ლაზერული სკანერი 2018 წლის იანვრის დასაწყისში მიეწოდა საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტს. ამასთან ერთად, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე დარგობრივი საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დასამუშავებლად. პროექტის ფარგლებში შესრულებული ყველა საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია პროექტის ვებგვერდზე <http://HERITAG.ge>.